„გურნიკის“ რეპეტიცია

თბილისი „დინამოს“ სტადიონი. 8 თებერვალი

„დინამო“ (თბილისი ახალგაზრდული შემადგენლობა) – „გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) 0:2 (0:1).

„დინამო“: გოგია. კიტია, კანთელაძე, შერგელაშვილი, ჭოხონელიძე, ილიადი, ქიქავა, ქორიძე, მაზიაშვილი, რამიშვილი (მაჩაიძე), ლ. ნოდია (ჯორბენაძე).

„გურნიკი“ : კოსტკა (გომოლი) კუხტა, ოსლიზლო, გორგონი, ფლოჩენსკი, დეია, ვილჩეკი, ოლეკი, მუშიალეკი, ლიუბამესკი, ლენტერი.

მსაჯი ე. აზიმ–ზადე (ბაქო).

„გურნიკის“ ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, მატჩის დაწყებამდე განაცხადა, რომ დაინტერესებული არაა თბილისში ჩატარებული თამაშების ტექნიკური შედეგებით. გუნდს თავისი ამოცანები აქვს, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური შეხვედრებისთვის მზადების კონკრეტული პროგრამა გააჩნია, რომლის შესრულება მისთვის ახლა მთავარზე უმთავრესია. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში არიან დინამოელებიც, რომლებიც სულ ახლახან გამოვიდნენ მოედანზე და, ცხადია, ვარჯიშობენ და არა მოგებისათვის იბრძვიან.

მიუხედავად ამისა, გუშინწინდელი მატჩი ძალზე საინტერესო გამოდგა სანახაობრივი თვალსაზრისით. კარგი ამინდი, მშრალი მინდორი, მაყურებლით სავსე ტრიბუნები – ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ადრიანი თებერვლის ფეხბურთი არ მგვანებოდა მოსაწყენ ორმხრივ წვრთნას და თამაში წმინდა სპორტული ბრძოლით აღსავსე ყოფილიყო.

თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდებს საყვედური არ ეთქმით. მათ ითამაშეს მონდომებით, კარგი ურთიერთგაგებით, მთელ რიგ შემთხვევაში გუნდს არა მარტო ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, არამედ გოლის გატანის აშკარა რეალობის წინაშეც იმყოფებოდა. საუკეთესო პოზიციაში იყვნენ, მაგალითად, რამიშვილი, მაზიაშვილი, ქორიძე.

პოლონელებმა დასაწყისშივე იგრძნეს თავიანთი მოწინააღმდეგის ენთუზიაზმი, ამაღლებული ტონუსი და თავი აარიდეს სახიფათო შეტაკებებს. თამაშის დროს, დაცვაა ეს, თუ შეტევა, მათ ყოველთვის ჰყავდათ თავისუფალი

მოთამაშე, რომელიც ქმნის ბურთის გათამაშების საშუალებას და საჭირო რიტმს. განსაკუთრებით მიიპყრო ყურადღება თავდასხმის მარცხენა ფლანგის საუცხოო შეთამაშებამ. მუშიალეკს, ლიუბანსკისა და ლენტერს ერთმანეთისა „უსიტყვოდ“ ესმოდათ, კომბინაციები მათ შორის სინქრონული სიზუსტით ხორციელდება.

ორივე გოლი დინამოელთა კარში „გურნიკმა“ გაიტანა ყველაზე კრიტიკულ დროს – ტაიმების დასასრულს. ჯერ, 44–ე წუთზე ლიუბანსკი–ლენტერის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ლენტერმა, მერე კი, მატჩის ბოლოს, მასპინძელთა მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო მინდვრის სიღრმიდან თავისუფალ ზონაში შემოსულმა კუხტამ და ძლიერად, ზუსტად დაარტყა – 2:0.

ეს მატჩი სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხვალინდელი თამაში თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობასა და „გურნიკს“ შორის, ძალზედ საინტერესო იქნება.

რ. ქორიძე

“ლელო”, 16.02.1968 წ.